

მრავალხმიანობის სტილების გეოგრაფიული განაწილება ბულგარეთში

სიტყვა „ბალკანი“ ბულგარულად მთას ნიშნავს. ვინც მოგზაურობს ბულგარეთში, მას მთები გამუდმებით აგრძნობინებენ თავს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გაშლილ მინდორზე ჰორიზონტს მთაგრეხილი კვეთს. ამ მთაგრეხილისგან მიღებული შთაბეჭდილება და ის განსაკუთრებული იზოლაცია, რომელშიც მას ბულგარელი ხალხი ჰყავდა მოქცეული დიდი ხნის მანძილზე, ფოლკლორისტიკისთვის კულტურული ფორმების კალეიდოსკოპურ მრავალფეროვნებას ინახავს. ადამიანებს ყოველთვის აინტერესებდათ, როგორ ჟღერდა სიმღერა, როგორ გამოიყურებოდა ტანსაცმელი ქედის გადაღმა ან ვინრო ხეობის მიღმა.

გასაკვირი არაა, რომ მუსიკალურ დიალექტოლოგიას ბულგარეთში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ნიკოლა კაუფმანი პირველი იყო, ვინც წერდა და ხაზგასმით მიუთითებდა რეგიონალური სტილების და სუბსტილების უნიკალური ხასიათის შესახებ. არანაკლები წვლილი მიუძღვით ისეთ მეცნიერებსაც, როგორებიც არიან სტოიან ჯუშევი და ბორის კრემენლიევი, რომლებიც წერდნენ პან-ბულგარულ სტილზე და უყურადღებოდ არ ტოვებდნენ ისეთ ნიუანსებსაც კი, რომელთაც ქვეყნის მხოლოდ ცალკეულ ადგილებში თუ აღმოაჩენდით (Dzuzhev, 1954-61; Kremenliev, 1952).

ჩემი სტატია მოიცავს 1972-73 წლებში მოძიებულ იმ მონაცემთა ანალიზს, რომელიც ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის მუსიკის ინსტიტუტის (დღესდღეობით უკვე ხელოვნების ინსტიტუტის) არქივებში ინახება ბულგარული მრავალხმიანი სიმღერის „დიალექტების“ შესახებ. სტატიაში სტილური აღწერა ზედმეტად გამარტივებულია, უფრო დაწვრილებითი აღწერა კი მოცემულია ჩემს სადოქტორო დისერტაციაში, რომელიც სირთულის ჯერ კიდევ სხვა დონეზე არსებულ მრავალფეროვნებას ასახავს.¹

სწორედ ამ არქივებში, მოსმენილმა თითქმის ათასამდე სიმღერამ, საშუალება მომცა გამომეკვთა შემდეგი ძირითადი სტილური მიმართულებები, რომელთაც თვალსაჩინოებისათვის შემდეგი სიმბოლოებით აღვნიშნავ:

I. ბურდონული სტილი

- | | |
|-----------------------------------|----------|
| ა) ერთტონიანი ბურდონი | |
| 1. სალაპარაკო (ნართქმითი) ბურდონი | 1 D |
| 2. პედალური (გაბმული) ბურდონი | 1 PD |
| 3. სალაპარაკო ვიბრაციული ბურდონი | 1 TD |
| ბ) მოძრავი ბურდონი: | |
| 1. ორტონიანი მოძრავი ბურდონი | 2 Dca* |
| 2. სამტონიანი მოძრავი ბურდონი | 3 Ddca |
| 3. ოთხტონიანი მოძრავი ბურდონი | 4 Ddcaba |

* ყველა ჩემი მოკლე აღნიშვნა ბოლოვდება ბგერა „ა“ (ლათ.), ამგვარად 2 Dca ნიშნავს, რომ ბურდონი ჩამოდის მინორულ ტერციაზე (დო-ლა). იგივეს ემყარება 2 Dca, 2 Dba, 2 Dca, 2 Dea.

II. ფსევდო-ბურდონის სახეები

- ა) სოპის სტილი
(ამ სტილში მეორე ხმა გადაწყდება სუბტონიკაში, როცა პირველი ხმა ტონიკაშია).
- ბ) უნისონური სუბტონიკური სტილი **1 Dus**
(ამ დროს პირველი და მეორე ხმა გადაწყდება უნისონურ სუბტონიკაში, თუმცა მეორე ხმა აქ წართქმითი ბურდონია. სწორედ ეს თავისებურება განასხვავებს მას, როგორც სოპ-სტილისაგან, რომელიც ქმნის პარალელიზმს, ისე ზემოაღნიშნული ბურდონული სტილისაგან, რომელშიც ვხვდებით ხმათა ჯვარედინ მოძრაობებს).
- გ) *Na atsane* **1 Dna**
ამ სახეობაში მეორე და პირველი ხმა მაღალი გამკვივანი უნისონია. თუმცა მეორე ხმა აქ სალაპარაკო ერთტონიანი ბურდონია.

III ჰეტეროფონია

H

აღნიშნული კლასიფიკაცია უფრო დეტალურია, ვიდრე კაუფმანის, მაგრამ ძალიან ჰგავს აბრაშევის მიერ მოცემულ კლასიფიკაციას (Abrasheva, 1969).

ძირითადი განსხვავებანი ჩემსა და ამ ბულგარელი მკვლევარების კლასიფიკაციას შორის შემდეგში მდგომარეობს:

- ერთტონიანი ბურდონის სამი ტიპის (სახეობის) აღიარება;
- „ფსევდო ბურდონის“ კატეგორიის ცალკე გამოყოფა, რაც აბრაშევის კლასიფიკაციაში გაერთიანებულია „პარალელიზმის“ სახეობაში, შესატყვისად „ფსევდო ბურდონის“ სამ ტიპზე, რომელზედაც აბრაშევა საერთოდ არ მიანიშნებს;
- ბურდონსა (I) და ჰეტეროფონიას შორის არსებული შუალედური კატეგორიის საერთოდ უგულებელყოფა (ამ პუნქტებს შეიცავს ერთ-ერთი სხვა კატეგორია);
- მათთან არ არის საგულდაგულოდ გამოკვლეული ჰეტეროფონიის სამი სახეობა (დეტალურადაა გაანალიზებული რაისთან, 1997 წ.).

ეს კატეგორიები ეფუძნება სტილის უსწრაფესი განხილვის ტიპს და დაკვირვების ამ ეტაპის შედეგად ახალი დეტალები გამოიკვეთება.

ისმის კითხვა: გეოგრაფიულად როგორ მოხდა ხმათა ამ სახეობების ჩვენამდე მოღწევა? ვითარდებოდნენ თუ არა ისინი (ხმათა სახეები) იზოლირებულად, თუ ხდებოდა მათი აღრევა? თამაშობდა თუ არა გეოგრაფიული გარემო წამახალისებელი ან დამაბრკოლებელი ბერკეტის როლს ცალკეულ რეგიონებს შორის საზღვრების გახსნისა ან პირიქით მათი იზოლირებისათვის?

ერთ და ორხმიან რეგიონებს შორის საზღვარი

ბულგარული მრავალხმიანი სიმღერები ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეშია თავმოყრილი. პირველ სურათზე (იხილე დანართი) მოცემულია რუკა, რომელიც გვიჩვენებს ერთ და ორხმიან რეგიონებს შორის საზღვარს ჩრდილოეთით და ორხმიანი რეგიონის აღმოსავლეთით. ამ ტიპის სიმღერის

საზღვრები დასავლეთით არის სერბია და მაკედონია, თუმცა ამ საზღვრის მიუხედავად სიმღერის ზოგადი სახეები თითქმის ყოველთვის განაგრძობენ არსებობას. სამხრეთ საბერძნეთის საზღვარი მიჯნავს თითქმის მთელ ამ სიმღერის სტილს.

ორხმიანი სიმღერის რეგიონებში ზოგიერთი სიმღერა იმღერება მრავალხმიან სტილზე, ზოგიერთი კი, როგორც წესი, გვხვდება როგორც სოლო ან გუნდური უნისონი. ამ რეგიონის გარეთ, თუ არ ჩავთვლით ორხმიანი სიმღერების იმ რამდენიმე გამონაკლისს, რომლებიც აქ გავრცელდა ორხმიანი რეგიონებიდან მოსახლეობის მიგრაციის გზით. თუმცა, ბევრი სიმღერა ამ ორხმიანი რეგიონის გარეთ იმღერება ანტიფონურ სტილზე. ზოგჯერ ასეთი სიმღერის დროს ერთი ჯგუფის მიერ დაჭერილ ბურდონს ნაწილობრივ ემთხვევა მომღერალთა მეორე ჯგუფის შესვლა. სავარაუდოდ, გაუცნობიერებელი ჰეტეროფონია ყოველთვის გვხვდება ჯგუფურ სიმღერაში. ბულგარული ფოლკლორული მუსიკისათვის არც ერთი ეს მაგალითი არაა ერთადერთი, არც ერთი მათგანი არ ასახავს ერთსა და იმავე კარგად აგებულ პროცესს, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ ბულგარეთის მრავალხმიან სიმღერაში მიმდინარეობს.

ჩვენ გვაინტერესებს, ორხმიანი რეგიონის საზღვარი ბულგარეთის ფარგლებში. კაუფმანი თავის ნაშრომში (Kaufman, 1968:224) მხოლოდ სოფლების სახელებს გვაძლევს, რომლებიც ორხმიანი სიმღერის სტილს წარმოაჩენენ და ისინი აღნიშნულნი არიან რუკაზე (სურ. 1) წერტილით. მას შემდეგ, რაც პირადად მოვისმინე ეს სიმღერები არქივში, აღმოვაჩინე და რამდენიმე არგუმენტით დავაამტიციე ამგვარი სიმღერების არსებობა იმ სოფლებში, რომლებიც კაუფმანის შემოთავაზებული საზღვრების ოდნავ გარეთაა. ისინი მე ღია წრეებით აღვნიშნე. საბოლოოდ, ამ მცირე განსხვავებებს მცირე გავლენა აქვს იმ მსჯელობაზე, რომელიც შემდეგ არის მოცემული. მდინარე ტოპოლნიკას (the Topolnica River) აღმოსავლეთით მდებარე სოფლები, რომლებიც რუკაზეა აღნიშნული, ორხმიანი სიმღერის სტილს წარმოაჩენენ.

კითხვა, რომელიც გამიჩნდა და რომელსაც კაუფმანი ყურადღებას არ აქცევს, არის იმ საზღვრის მასშტაბი, რომელსაც მიჰყვება მინაზე თავისთავად არსებული ბუნებრივი ფიზიკური საზღვრები.² მონაცემები მიუთითებს, რომ მცირე გამონაკლისის გარდა, მუსიკალური საზღვარი მიჰყვება ბუნებრივ სახმელეთო საზღვრებს. ჩრდილოეთით საზღვარია ძველი მთის „სტარა პლანიანას“ მწვერვალი, უფრო ზუსტად ქვემოთ არის ბერკოვსკა, ვრანჩარსკა და გოლემა (Berkovska, Vrancharska, Golema), აქედან ეს საზღვარი გასდევს სამხრეთ სოფიის მდელოს (Sofijsko pole) გასწვრივ. ეს აღნიშნულია წყვეტილი ხაზით და ერთ-ერთია იმ მცირე ადგილთაგან, სადაც მუსიკალური საზღვარი უგულვებელყოფს ფიზიკურ თავისებურებებს. მოელი, რომ ორხმიანი სტილი თანდათანობით გავრცელდება აღმოსავლეთის მიმართულებით მაღალმთიანი რეგიონების წრეში, რომელშიც შედის ეტროპოლსკა და ზლატიშკო ტეტევენსკოს (Etropolska and Zlatishko tetevensko) მთები და საშტინკას შუა მთა (Sashtinska Sredna Gora).³ ამის ნაცვლად, მუსიკალური საზღვარი შუაზე კვეთს ბრტყელ ვაკე ადგილს. დემოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ მონაცემებს შეუძლიათ განსაზღვრონ დასახელების ხასიათი (ტიპი), რაც მოგვეხმარება ავხსნათ ეს საზღვარი, მაგრამ ისინი ჩემთვის ხელმისაწვდომი არ იყო.

სამხრეთის მოშორებით მდინარე ტოპოლნიკას დაბლობი, იხტიმანის შუა მთის (Ihtimanska Sredna Gora) და საშტინკას შუა მთას შორის არის საზღვარი ერთ და ორხმიან რეგიონებს შორის. ეს მაღალმთიანი ზონები ქმნიან გავრცელების საკუთარ სფეროს, ხოლო მათ შორის მდინარე ქმნის ბუნებრივ ბარიერს. ამ ტიპის საზღვარი მდინარე მარიტას (the Marista River) გასწვრივ გრძელდება ისე შორს, როგორც ძველი მდინარე (Stara reka), მაშინ, როდესაც ბატაშკას (Batashka) და დასავლეთ როდოფების (Western Rhodopes) მთების მწვერვალები ქმნიან სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრებს და ბოლოს, საზღვარი საკმაოდ უჩვეულოდ კვეთს მდინარე მესტას დაბლობს (the Mesta River Valley). სიტუაცია უკიდურესად რთულია საბერძნეთის საზღვართან და შესაბამის დასახლებებთან სიახლოვის გამო.

თვალშისაცემი და უკიდურესად საინტერესო გამონაკლისია ის, რომ სოფიას დაბლობი (the Sofia Plain), რომელიც არის საზღვარი ერთ და ორხმიან სიმღერებს შორის, შეესაბამება ორი სახის ბუნებრივ საზღვარს: მთაგრეხილების მწვერვალებსა და მდინარეებს, რომლებიც მაღლობს ორ ადგილას ყოფენ.

ორხმიანი სიმღერის რეგიონები

სურათები 2 და 3 არის ორხმიანი რეგიონის რუკა, სადაც მონიშნულია საზღვრები ისე, როგორც მანამდე განსაზღვრა კაუფმანმა. ჩემი აზრით, კაუფმანს თავის სისტემაში გადაუწყვეტელი დარჩა ზოგიერთი ლოგიკური და მეთოდოლოგიური პრობლემა, რომელთა ჩამოთვლასაც არ დავიწყებ, მაგრამ, შესაძლოა, მისი ყველაზე მთავარი სისუსტე ის არის, რომ მან ცალკე არ გამოყო პოლიფონიური სიმღერა – ამ სიმღერებში ხომ მუსიკალური სტილის სხვა ნიშნებთან – მელოდიასთან, რიტმულ სტრუქტურებთან ერთად ყურადსაღებია ხმების პოლიფონიური ქსოვილი. ეს განპირობებულია მცდელობით, წინასწარ აღნიშნულიყო რუკაზე პოლიფონიური სტილის გავრცელება. სურათი 3-ის ყურადღებით განხილვა უფლებას გვაძლევს ვნახოთ, ადასტურებს თუ არა ეს მონაცემები კაუფმანის მოსაზრებას.

სურათი 4 არის დეტალური რუკა სოფლიდან სოფლამდე, რომელიც მე ავაგე მრავალხმიანი სიმღერაში ერთი ფაქტორით. მეორე ხმის მოძრაობა ეყრდნობა პირველს.⁴ მრავალხმიანი სიმღერის გეოგრაფიული კლასიფიკაციის შემთხვევებისათვის, მე განვიხილე ეს ფაქტორი, როგორც ყველაზე გადაწყვეტი ფუნდამენტური ელემენტი. კლასიფიკაცია, რომელიც გამარტივებიდან გამომდინარეობს, შესაძლოა, მოგვიანებით გარდაიქმნას ამ სისტემაში უფრო მეტი მონაცემის შეტანით. მაგრამ ამგვარ მიდგომას უპირატესობა აქვს კაუფმანის საყოველთაო მიდგომასთან შედარებით, სადაც გაუგებარი იმპრესიონისტული გამოსახულებანი არცთუ ისე შეესაბამებიან მრავალხმიანი სტილის აღნიშვნებს, რომლებიც განასხვავებენ „მრავალხმიან სასიმღერო რეგიონებს“ ბულგარეთში.⁵

შოპის რეგიონი

შოპის რეგიონი, ნათლად გამოყოფილი მე-4 სურათზე, გვიჩვენებს თუ სად იყო უკვე გამოყენებული გამოსახულება S. ეს სტილი ნაჩვენებია მე-5 სურათზე. ამ დროს მეორე ხმა გადაწყდება სუბტონიკაში, ხოლო პირველი

ხმა ტონიკაა. ამ რუკაზე ჩანს, რომ ეს უფრო პატარა რეგიონია, ვიდრე კაუფმანი ამტკიცებს. ამ რეგიონის დასავლეთი სასაზღვრო ზოლი არ გრძელდება სერბიის საზღვრამდე, არამედ მხოლოდ მდინარე სტრუმამდე (the Struma River), რომელიც მდინარე კონსკას (the Konska River) შენაკადია. (რუკა სხვადასხვა სტილის რეგიონებს შორის საზღვრის ჩემეული ვერსიით მოცემულია სურათებში 6 და 7). სინამდვილეში, შოპის რეგიონი გარშემორტყმულია იმ სოფლებით, სადაც წარმოიშვა ბურდონული სიმღერის ტიპი. ამ მოვლენას კაუფმანი არ განიხილავს.

შოპის რეგიონის მრავალხმიანი სასიმღერო სტილის საზღვრებს ასევე შეესაბამება ხმელეთის ფიზიკური თავისებურებანი. დასავლეთის საზღვარს ზემოთ აღნიშნული მდინარეები ჰქმნიან. ჩრდილო-დასავლეთით ეს სტილი ვრცელდება სოფლის მდელის ბოლომდე. ჩრდილოეთით მთებიდან დაწყებული შოპის სტილი რამდენიმე სოფელთან ერთად იწყებს თანდათანობით კლებას და აქ ვხვდებით უკვე ფსევდო-ბურდონული სიმღერის სტილს, განსაკუთრებული სუბტონიკური უნისონით. ამ მხარის სხვა სოფლებში ზოგიერთი სიმღერა შოპის სტილშია, სხვები კი – ფსევდო-ბურდონულში. ეს სტილი ილუსტრირებულია მე-8 სურათზე. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ აქ I და II ხმები გადაწყდება უნისონურ სუბტონიკაში, ამგვარად, ხდება მეორე ტიპური შოპის სტილის თავიდან აცილება.

ჩრდილო-აღმოსავლეთით მდინარე ისკარი (the Iskar River) ქმნის ბუნებრივ ბარიერს, თუმცა ზოგიერთ სოფელში, მართალია მოგვიანებით, მაგრამ მაინც გავრცელდა ბურდონული სტილი. ზოგს შეიძლება დაეზარდოს კითხვა, თუ რამდენად მყარად აქვს ფესვები გადგმული აქ ამ სტილს. პასუხი დადებითი იქნება. სამხრეთ-აღმოსავლეთით მდინარე ისკარის საზღვარი გადაიზრდება მთების საზღვარში. ამ საზღვრის დასავლეთით გვხვდება შოპის სტილი, ხოლო აღმოსავლეთით – ბურდონული ან ფსევდო-ბურდონული.

სამხრეთით არის მთელ ბალკანეთში ყველაზე მაღალი რამდენიმე მთა. ეს ქმნის ბუნებრივ გაუმტარ ბარიერს სიმღერათა სტილების გავრცელებისათვის – ამგვარი მკვეთრი ბუნებრივი საზღვარი მუსიკალურ საზღვარსაც წარმოქმნის.

სამხრეთ-დასავლეთით საზღვარი კვეთს მდინარე სტრუმას დაბლობს (the Struma River Valley). ეს საზღვარი მეტად უცნაურია ფიზიკური მონაცემებით. მონაკვეთი, სადაც მდინარე სტრუმა ერწყმის მდინარე დზერმანს (the Dzherman River), იმ ფიზიკური საზღვრის მსგავსია, რომელიც მე ვიპოვე ამ არეალში.

ამ მონაცემებიდან ორი რამ არის ცხადი: პირველი ის, რომ შოპის სტილის მრავალხმიანი სიმღერა არ არის ისე ფართოდ გავრცელებული, როგორც კაუფმანის კლასიფიკაციითაა მოცემული. მეორე – ფიზიკური და მუსიკალური საზღვრები შეესაბამება გავრცელების არეალს. გამონაკლისია სოფლის მდელის და მდინარე სტრუმას ტერიტორია, სადაც შოპის სტილის ნაცვლად ვხვდებით ბურდონულ და ფსევდო-ბურდონულ სასიმღერო სტილს.

დასავლეთის ტერიტორიები

თუმცა კაუფმანი არ არის მომხრე, რომ ეს ტერიტორიები გამოვყოთ შოპის რეგიონისაგან, ორხმიანი სიმღერის აქაური მანერა სრულიად განსა-

კუთრებულია. იმის ნაცლად, რომ მეორე ხმა სუბტონიკაში ჩავიდეს და შექმნას დამახასიათებელი „მერყევი“ მაჟორული სეკუნდა, მეორე ხმას უჭირავს სნორხაზოვნად გავრცობილი ბურდონი. ხშირად ეს პედალური ბურდონი მოცემულია რაიმე სიტყვის წარმოთქმის გარეშე ხმოვან „ე“-ზე. მე-9 სურათზე ნაჩვენებია (Stoin, 1959:213, N468) ამგვარი სიმღერის ტიპის გავრცელების აღმოსავლეთის საზღვარი დადგენილი იყო ზემოთ მოცემულ შოპის რეგიონის განხილვაში, ხოლო სამხრეთის საზღვარია მდინარე ელემნიკა (the Elešnica River), რომელიც ოსგოვსკას (the Osgovska Mountains) მთებს გამოყოფს ვლაჰინას მთაგრეხილებისაგან (the Vlahina Range).

პაზარდჩიკ-იხტიმანის რეგიონი

ამ ქვემო რეგიონების კაუფმანისეული განსაზღვრების საწინააღმდეგო მე არაფერი მაქვს. ეს ბულგარეთის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მრავალფეროვანი ქვემო რეგიონია. აქ სულ ცოტა ოთხი განსხვავებული სტილია: 1. ბურდონული ან ფსევდო-ბურდონული სტილი, სუბტონიკური უნიონით (1D და 1Dus), 2. ვიბრირებული ბურდონული სტილი (1TD), 3. მოძრავი ბურდონული სტილი, მოკლე ხანგრძლივობის არატონიკური ბურდონი (2Dca), 4. ჰეტეროფონური ვარიანტი (H). ეს ბოლო ტიპი ნაჩვენებია მე-10 სურათზე. ზოგჯერ ერთი გარკვეული ტიპის სიმღერა უკვე ჩანერილია სოფელში. თუმცა აღსანიშნავია, რომ ოთხივე ტიპის სიმღერა აღმოჩენილია. ამ მრავალფეროვნების მიუხედავად, არის ამ არეალის გეოგრაფიული თვალსაზრისით დაყოფის მცირე შესაძლებლობა.

ამ რეგიონის ფიზიკური საზღვრები მკაფიოდაა გამოკვეთილი, ჩრდილოეთ ნაწილის გამოკლებით, სადაც სტილი უჩინარდება სოფლის მდელოზე. დასავლეთით მისი საზღვარია მდინარე ისკარი, ჩრდილო-აღმოსავლეთით – მდინარე ტოპოლნიკა და იხტიმანის შუა მთა. სამხრეთის და სამხრეთ-დასავლეთის საზღვარს ქმნის იგივე მთების კლაკნილი ხაზი – ეს შოპის რეგიონის საზღვარია.

პირინის რეგიონი

კაუფმანის კლასიფიკაციიდან ორი არეალი რჩება განსახილველი – პირინისა და ველინგრადის. საკვირველი არ იქნებოდა, ეს რეგიონები ძალიან განცალკევებული ყოფილიყვნენ, რასაც ხელს ბუნებრივი მონაცემებიც უწყობს. ველინგრადი სრულიად განცალკევებულია პირინისაგან მაღალი მთით, რომელსაც, როგორც რუკაზეა ნაჩვენები, კვეთს სრულიად განსხვავებული შენაკადებიანი მდინარის სისტემა, სადაც ველინგრადი მდებარეობს.

მეორე მხრივ, ამ ორი რეგიონის ერთმანეთთან ურთიერთობას ხელს არაფერი უშლის. ორივე რეგიონში ვხვდებით ბურდონულ და მოძრავ ბურდონულ სტილებს, რომლებიც არ არიან განსხვავებული დაკვირვების ამ ეტაპზე. მე-11 სურათი წარმოადგენს მოძრავი ბურდონის სტილის ნიმუშს. ბურდონი გვხვდება 3 ტონში: d, c და a. სანამ უფრო დეტალური მონაცემები ხელმიუწვდომელია, მე შევეცდები უარყო შეხედულება იმის შესახებ, რომ პირინი და ველინგრადი განცალკევებული ქვემო რეგიონები არიან. ისე ჩანს, თითქოს ეს გადაკვეთა უფრო სტილის შემაკავშირებელი აკვედუკია, ვიდრე მისი გამმიჯნავი ბარიერი. მე-12 სურათი აჯამებს იმ განსხვავებებს, რომელ-

ბიც არსებობს კაუფმანისა და ჩემს გეოგრაფიულ კლასიფიკაციას და ბულგარეთის ორხმიანი სტილების რუკებს შორის.

მრავალხმიანობა სამხრეთ-დასავლეთ ბულგარეთის გარეთ

ამ მრავალხმიანი რეგიონის გარეთ არის სამი იზოლირებული ზონა, სადაც მრავალხმიანობა არსებობს. ჩრდილო-დასავლეთ ბულგარეთში, ქალაქ ბელოგრადჩიკთან (Belogradchik) ახლოს მდებარე რეგიონში სიმლერის ორი ტიპია – მეორე ხმა ან ბურდონულია ხმოვან „e“-ზე, ან ბურდონია ტექსტის ხმოვნების წარმოთქმით (Kaufman, 1968:118, N192). აქაური სასიმლერო პრაქტიკა ნათლად მოგაგონებთ დასავლეთ ტერიტორიების სტილს. ბელოგრადჩიკელი ხალხი ამბობს, რომ მათ მოუსმენიათ მსგავსი სიმლერა მინდვრებში, რომლებიც იუგოსლავიის საზღვრის გადაკვეთაზეა, მაგრამ ამის მონაცემები ჩემთვის ხელმიუწვდომელია. შესაძლოა აქ არის გაგრძელებული ტერიტორია, რომელსაც მრავალხმიანობის საშუალებით უერთდება ამ მცირე რეგიონის დასავლეთის ტერიტორიები.⁶

როდოფის მთების რეგიონში მხოლოდ ერთადერთ სოფელში – ნედელინოში ვხვდებით ორხმიან სტილს. ამ ფაქტს კაუფმანი იმით ხსნის, რომ 300 წლის წინ აქ სამხრეთ-დასავლეთიდან, ანუ ორხმიანი რეგიონიდან გადმოსახლდა ხალხი (Kaufman, 1960:186). ამ სტილის სიმლერებში მეორე ხმა შესაბამისად აქტიურად მოძრაობს წინ და უკან ორ ბგერას – ტონიკურ და მეოთხე საფეხურს შორის, რაც ნაჩვენებია მე-13 სურათზე (იქვე: 188 N111). ამგვარი მოძრაობა მე ყველაზე მეტად მაგონებს პაზარდჩიკ-იხტიმანის (Pazardzhik-Ihtiman) სტილს, რომელშიც მეორე ხმა სწრაფად ხტება მესამე საფეხურზე და სწრაფადვე ვარდება უკან ტონიკაზე. მეორე მხრივ, კაუფმანი გვისაბუთებს, რომ XVII საუკუნის განმავლობაში ეს ხალხი გამოიქცა ველინგრადიდან, რათა ძალით არ მოექციათ მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე. იგი აღნიშნავს ორივე რეგიონში მეოთხე საფეხურის ფართოდ გავრცელებას და საოცარ მსგავსებებს, თუმცა მეოთხე საფეხურის ფუნქციები განსხვავებულია. ველინგრადში ის ფუნქციონირებს, როგორც მნიშვნელოვანი დროით გაჩერებული ბურდონი, მაშინ როდესაც ნედელინოში მისი ხანგრძლივობა ძალიან მცირეა. ამ ხმის მელიოდიური ხაზი სწრაფად ხტის წინ და უკან ტონიკასა და მესამე ან მეოთხე საფეხურებს შორის. ნედელინოში მცხოვრები ხალხი აცნობიერებს, რომ ისინი გადმოსახლებულები არიან. ზუსტად საიდან არიან ისინი, ალბათ, ყოველთვის საიდუმლოდ დარჩება.

ბულგარეთის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მდებარე ამ ორ ორხმიან სასიმლერო რეგიონში არის ბევრი ადგილი, სადაც ხალხი შოპის და პირინის რეგიონებიდან ჩამოსახლდა ბოლო 100 წლის განმავლობაში. ჩვეულებრივ, ისინი ინახავენ ორხმიან სასიმლერო სტილს, რომელიც ახასიათებს მხოლოდ მათ სოფლებს. რამდენიმე ასეთი სოფელია ბულგარეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ქალაქ ორმურტაგის (Ormurtag) ახლოს (Kaufman, 1968:115; 116, N186).

დასკვნა

მრავალხმიანი სტილის გეოგრაფიული გავრცელების გამოსაკვლევად, კაუფმანისაგან რამდენადმე განსხვავებულ პლანში, შევეცადე მეჩვენებინა ამ ერთ-ერთი გავრცელებული სასიმლერო სტილისათვის დამახასიათებელი

გეოგრაფიული და მუსიკალური საზღვრების შესაბამისობა. შედეგი სულაც არ არის მოულოდნელი, არამედ ისეთი რეგიონისათვის, როგორც ბალკანეთია, სავსებით დამაკმაყოფილებელია. თუმცა, ყოველთვის ვერ განვმარტავ, თუ რატომ არსებობს იქ ეს საზღვრები. ცხადია, რომ მთაგრეხილი ქმნის სასიმღერო სტილის გავრცელებისათვის ბუნებრივ ბარიერს. ამის მაგალითია ჩრდილოეთით სტარა პლანინას საზღვარი. ასევე მთაგრეხილი, რომელიც აცალკევებს შოპის და პაზარდჩიკის რეგიონებს პირინ-ველინგრადისაგან. მეორე მხრივ, პირინის მთაგრეხილის მწვერვალი ხელს არ უშლის სასიმღერო სტილის გავრცელებას. უფრო გასაოცარია, როცა მდინარეები და მთისწინეთსა და მდელოებს შორის მოთავსებული ტერიტორია ემთხვევა მუსიკალურ საზღვრებს. ამის მაგალითია სტრუმა-კონსკას, ტოპოლნიკა-მარიკას მდინარეთა სისტემა და მდინარე ისკარი. ამ მაგალითის შემთხვევაში მთიანი რეგიონის დახრილობა ქმნის მუსიკალურ (და შესაძლოა ეკოლოგიურ) სისტემას მდინარესთან და ორ მთიან დახრილობას შორის მოთავსებულ დაბლობთან ერთად. ამგვარი ბუნებრივი გარემო ისეთივე საზღვარია, როგორც უმაღლესი მთის მწვერვალები. ეს საინტერესო საკითხი მომავალი კვლევის საქმეა.

შენიშვნები

¹ ეს სტატია იმ მასალის ოდნავ გადამუშავებული ვარიანტია, რომელიც პირველად ჩემს სადოქტორო დისერტაციაშია წარმოდგენილი (Rice, 1977)

² ის მასშტაბები, რომლითაც მუსიკალური საზღვრები შეესაბამება დემოგრაფიულ, ლინგვისტურ და კულტურულ საზღვრებს, ასევე საინტერესოა, მაგრამ მისი შესწავლა სხვა დროისათვის უნდა გადავლოთ.

³ Sashtinska Sredna Gora-ს სიტყვა-სიტყვითი თარგმანია „ნამდვილი შუა ტყე“. გადატანით მნიშვნელობით „შუა ტყე“ შეესაბამება სიტყვა „მთისწინეთს“, კონკრეტულად, ძველი მთასა (Stara Planina) და სამხრეთით როდოფის მთების (the Rhodope Mountains) შორის ადგილს.

⁴ ციფრები ეხება იმ სოფლების ნომრებს, რომლებიც მოცემულია რაისთან (1977) დანართი III-ში. სიმბოლოები, რომლებიც მოყვება ნომრებს, ახსნილია ზემოთ.

⁵ როდესაც გთავაზობთ ჩემს კრიტიკას ნიკოლა კაუფმანის კლასიფიკაციისა და ბულგარეთში მრავალხმიანი სიმღერის რეგიონების მისეული რუკის შესახებ, აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ დიდ პატივს ვცემ მის უზარმაზარ და თავგანწირულ ღვაწლს იმ უამრავი მონაცემის შეკრებაში, რომლებსაც ჩემი საკუთარი კვლევა ემყარება, აგრეთვე ამ მონაცემების აღწერისა და ანალიზის უზრუნველყოფაში.

⁶ მეორე მხრივ, იხილეთ Kaufman...*Mnogoglasna*....pesen p. 119, სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ ეს სტილი სერბიულია და არავითარ კავშირში არაა ბულგარულ სტილთან.

Notes

¹ This paper is a slightly revised version of material originally presented in my doctoral dissertation, Timothy Rice, "Polyphony in Bulgarian Folk Music," University of Washington, 1977.

² The extent to which musical boundaries agree with demographic, linguistic, and cultural boundaries is also interesting but must be left to another study.

³ The literal translation of *Sâshtinska Sredna Gora* is "Real Middle Forest." Figuratively "Middle Forest" refers to what are called foothills in English, specifically between the Stara Planina and the Rhodope Mountains to the south.

⁴ The numbers refer to the names of villages, which are given in Appendix III of Rice 1977. The symbols following the numbers are explained above.

⁵ In offering this and subsequent critiques of Nikolaj Kaufman's classification and implicit mapping of multipart singing in Bulgaria, I want to make clear that I have the greatest respect for his absolutely enormous and dedicated work in collecting most of the data on which my own study is based, as well as the clear descriptions and analyses he provides of this data.

⁶ See on the other hand, Kaufman, ...*Mnogoglasna...Pesen*, p. 119, who argues that the style is Serbian and there is no connection with the Bulgarian style.

References

Abrasheva, Svetla. (1969). *Problemi na Bûlgarska diafoniya*. Candidate's thesis, Bulgarian National Conservatory.

Dzhuzhev, Stoyan. (1954-1961). *Teoriya na Bûlgarskata Narodna Muzika*, Vol. I-IV. Sofia: Nauka i Izkustvo.

Kaufman, Nikolaj. (1960). Narodnite Pesni ot Smolyansko i Madansko, *Izvestiya na Instituta za Muzika*, vol. 7:79-208.


Kaufman, Nikolaj. (1968). *Bûlgarska Mnogoglasna Narodna Pesen*. Sofia: Nauka i Izkustvo.

Kremenliev, Boris A. (1952). *Bulgarian-Macedonian Folk Music*. Los Angeles: University of California Press.


Rice, Timothy (1977). *Polyphony in Bulgarian Folk Music*. Ph.D. dissertation, University of Washington.

Stoin, Vasil. (1959). *Narodni Pesni ot Zapadnite Pokrajnini*, Sofia: Bulgarian Academy of Sciences.


სურათი 2. ბულგარეთის მრავალხმიანი რეგიონების სქემატური რუკა კაუფმანის მიხედვით
 FIGURE 2. Schematic Map of Bulgarian Part-sing Regions, after Kaufman




სურათი 3. კაუფმანის გეოგრაფიული კლასიფიკაციის დეტალური რუკა (სავარაუდო)
 FIGURE 3. Detailed Map of Kaufman's Geographical Classification (inferred)



სურათი 4. ბულგარეთის მრავალხმიანი სტილების რუკა სოფლების მიხედვით
FIGURE 4. Map of Bulgarian Part-Singing Styles, Village by Village







სურათი 5. შოპის სასიმღერო სტილი
 FIGURE 5. Shop singing style




სურათი 6. ბულგარეთის მრავალხმიანი სტილების რაისისეული სქემატური რუკა
 FIGURE 6. Rice's Schematic Map of Bulgarian Part-Singing Styles



სურათი 7. რაისის დეტალური გეოგრაფიული კლასიფიკაცია
FIGURE 7. Rice's detailed Geographical Classification



სურათი 8. ფსევდო-ბურდონული სიმღერა „დასავლეთ ტერიტორიებიდან“
FIGURE 8. Pseudo-drone Singing from the “Western Territories”



სურათი 9. პედალური ბურდონული სიმღერა „დასავლეთ ტერიტორიებიდან“
 FIGURE 9. Pedal Drone Singing from the “Western Territories”



სურათი 10. ორნამენტული ჰეტეროფონია პაზარდჩიკ-იხტიმანის რეგიონებიდან
 FIGURE 10. Ornamental Heterophony from the Pazardjik-Ihtiman Region



საცეკვაო დასაკრავები შეიძლება სიმღერით შესრულდეს
 Dance songs might be sung

სურათი 11. მოძრავი ბურღონული სტილი პირინ-ველინგრადის რეგიონიდან
 FIGURE 11. Moveable Drone Style from the Pirin-Velingrad Region

MU-SI-CAL SCORE FOR FIGURE 11. The score consists of four staves. The top staff is the vocal line with lyrics: MO-RI DE SE YE CU-LO LE. The second staff continues the vocal line with lyrics: VI- DE- LO. The third staff continues with lyrics: I MO- MA YE VGO-RA LE. The bottom staff is the drone accompaniment with lyrics: VÁR - ZA - NA. The drone consists of a continuous sequence of eighth notes.

სურათი 12. განსხვავებები კაუფმანსა და რაისს შორის
 FIGURE 12. Differences between Kaufman and Rice

<u>Kaufman</u>	<u>Rice</u>
1. Šop	1. Šop
2. Pazardžik-Ihtiman	2. Western Territories
3. Pirin	3. Pazardžik-Ihtiman
4. Velingrad	4. Pirin-Velingrad

სურათი 13. ორხმიანი სიმღერა ნედელინოდან
 FIGURE 13. Two-voiced song from Nedelino

MUSICAL SCORE FOR FIGURE 13. The score is for Soprano and is in 3/4 time. The lyrics are: E moj - to li - be dru - gi ho - di dru - gi ho - di dru - gi ga - li. The melody consists of eighth and quarter notes.